

# ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები

## ნაწილი 2: რისკზე დაფუძნებული მიდგომა



პროფესიონალი ბუღალტრები, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი პროფესიის წარმომადგენლები, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ფუნქციის ეფექტიანად შესასრულებლად, ბუღალტრებმა ნათელი წარმოდგენა უნდა შეიქმნან იმ ქვეყნებისთვის დამახასიათებელ ფულის გათეთრების რისკებზე, სადაც მუშაობენ, ასევე მათ მიერ გაწეული მომსახურებებისა და იმ დამკვეთების შესახებ, რომლებსაც ემსახურებიან. პუბლიკაციის ამ ნაწილში განხილულია რისკზე დაფუძნებული მიდგომის ძირითადი საფუძვლები, რომელიც პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა გამოიყენონ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში.

### ეროვნული წესები გლობალურ სტანდარტებთან ერთად

შესაბამისობის მოთხოვნები, რომლებიც პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა დაიცვან, გამომდინარეობს ეროვნული კანონმდებლებიდან და სხვა ოფიციალური დოკუმენტებიდან. ბევრ ქვეყანაში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა ეყრდნობა ისეთი აღიარებული საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილ გლობალურ სტანდარტებს, როგორცაა ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფი (FATF).

ამ სერიულ პუბლიკაციაში ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის (FATF) სტანდარტები იქნება გამოყენებული როგორც ამოსავალი ბაზა. თქვენს პროფესიულ ორგანიზაციას ყველაზე უკეთ შეუძლია დეტალური ინფორმაციის მოწოდება ადგილობრივი მოთხოვნების შესახებ.

გახსოვდეთ, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის (FATF) სტანდარტები გათვალისწინებული არ არის ადგილობრივ კანონმდებლობაში, ეს სტანდარტები მიიჩნევა მაინც ყველა პროფესიონალი ბუღალტრისთვის საუკეთესო პრაქტიკად.

### რა არის „რისკზე დაფუძნებული მიდგომა“?

პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა გამოიყენონ „რისკზე დაფუძნებული მიდგომა“, რათა შეამცირონ თავიანთ ქმედებებში ფულის გათეთრების რისკები. ეს ნიშნავს, რომ ბუღალტრებმა უნდა გამოავლინონ, შეაფასონ და გააცნობიერონ თავიანთ საქმიანობასთან დაკავშირებული ფულის გათეთრების რისკები და ეფექტიანად შეამცირონ ისინი. ეს ნიშნავს ნებისმიერი დამკვეთისა და მისი საქმიანობის, დამკვეთებისთვის გაწეული ნებისმიერი მომსახურებისა და შესაბამისი იურისდიქციის მოთხოვნების კარგად გააზრებას.

### როგორ უნდა გამოიყენოთ რისკზე დაფუძნებული მიდგომა?

რისკზე დაფუძნებული მიდგომის ძირითადი პრინციპია ის, რომ იქ, სადაც უფრო მაღალია რისკი, საჭიროა გაძლიერებული ზომების გატარება ამ რისკების სამართავად და შესამცირებლად. გატარებული პრევენციული ზომებისა და კონტროლის მექანიზმების დიაპაზონი, ხარისხი, სიხშირე ან ინტენსივობა უფრო მაღალი უნდა იყოს უფრო მაღალი რისკის მქონე სცენარის შემთხვევაში.

**1-ლი ნაბიჯი** | დაადგინეთ ფულის გათეთრების ძირითადი რისკები, რომლებიც თქვენს ბიზნესს ემუქრება დამკვეთებისგან, თქვენ მიერ გაწეული მომსახურებისგან და იმ იურისდიქციებისგან, სადაც გიწვეთ მუშაობა.

**მე-2 ნაბიჯი** | შეაფასეთ თითოეული გამოვლენილი რისკი მისი წარმოქმნის ალბათობის მიხედვით და ასევე მოსალოდნელი გავლენისა და შედეგების გათვალისწინებით, რასაც გამოიწვევს რისკის წარმოქმნა.

**მე-3 ნაბიჯი** | დანერგეთ შესაბამისი პროცესები/პროცედურები და კონტროლის მექანიზმები რისკების მისაღებ დონემდე შესამცირებლად. დარწმუნდით, რომ თქვენი პერსონალი სათანადოდ არის მომზადებული ამ პროცესების გამოსაყენებლად.

**მე-4 ნაბიჯი** | დამკვეთის ნებისმიერი გარიგებისთვის გამოიყენეთ დიუ დილიჯენსის ეფექტური პროცედურები, რომლებიც თქვენ მიერ გამოვლენილი რისკის დონის პროპორციული იქნება. დიუ დილიჯენსის გაძლიერებული და გაფართოებული პროცედურები შესაძლოა საჭირო გახდეს იესთი გარიგებებისთვის, რომლებიც, თქვენი შეფასებით, უფრო მაღალი რისკის მატარებელია.

# რისკების შეცნობა

ახალი საქმიანი ურთიერთობების დამყარებისას და, საერთოდ, დამკვეთისთვის ნებისმიერი მომსახურების გაწევისას, პროფესიონალ ბუღალტრებს კარგად უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული რისკის სამი ძირითადი მიმართულება:

- გეოგრაფიული რისკი
- დამკვეთის რისკი
- მომსახურების რისკი.

## გეოგრაფიული რისკი

გეოგრაფიული რისკი არის რისკის გაზრდილი დონე, რომელიც დამახასიათებელია კონკრეტული იურისდიქციისთვის ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით. გასათვალისწინებელი ფაქტორები შეიძლება მოიცავდეს:

- ქვეყნის კორუფციის დონის შეფასებას;
- დანაშაულებრივ საქმიანობას; და
- ფულის გათეთრების საწინააღმდეგო რეჟიმის ეფექტიანობას ქვეყანაში.

კონკრეტული ქვეყნის ფულის გათეთრების რისკის დონის შეფასებისას პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა გამოიყენონ საჯარო ინფორმაცია, მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია ან ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის (FATF) ურთიერთშეფასების ანგარიში.

**თქვენ თავს დაუსვით კითხვა:** ჩვენი დამკვეთები ისეთ ქვეყნებში არიან დაფუძნებულები, რომლებიც „პოპულარულია“ ფულის გათეთრებლებისთვის?

## დამკვეთის რისკი

დამკვეთის რისკი არის ფულის გათეთრების საერთო რისკი, რომელსაც იწვევს კონკრეტული დამკვეთი.

კონკრეტული დამკვეთის რისკის მახასიათებლებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს დაკავშირებულ მხარეთა მიმართ განსახორციელებელი აუცილებელი შემოწმების მასშტაბზე/მოცულობაზე, როგორცაა, მაგალითად დამკვეთის ბენეფიციარი მესაკუთრე.

დამკვეთის ზედმეტი საიდუმლოება და საკუთრების ზედმეტად რთული სტრუქტურები შეიძლება მიანიშნებდეს გაზრდილ რისკზე, რადგან ფულის გათეთრებაში მონაწილე პირთათვის განსაკუთრებით მიმზიდველია ისეთი კომპანიის სტრუქტურები, რომლებსაც შენდებული აქვთ საკუთრებისა და კონტროლის სისტემები.

დამკვეთისთვის, რომელიც საქმიანობს ფულის გათეთრების მაღალი რისკის შემცველ სექტორში, შეიძლება აუცილებელი იყოს უფრო გამძლიერებული დიუ დილიჯენსის პროცედურების ჩატარება.

თუ დამკვეთი ან დამკვეთის ბენეფიციარი მესაკუთრე პოლიტიკურ ფიგურად მიიჩნევა, შეიძლება საჭირო გახდეს დიუ დილიჯენსის პროცედურების მნიშვნელოვნად გამძლიერება და გაფართოება.

**თქვენ თავს დაუსვით კითხვა:** დამკვეთს ან მის ბენეფიციარ მესაკუთრეებს ახასიათებთ ის ნიშან-თვისებები, რომლებსაც, როგორც ცნობილია, ხშირად იყენებენ ფულის გათეთრებლები?

## ვინ არის ბენეფიციარი მესაკუთრე?

ტერმინს ბენეფიციარი მესაკუთრე, სხვა მსგავს ტერმინებთან ერთად, როგორცაა მაკონტროლებელი პირები, სხვადასხვა იურისდიქციაში განსხვავებული სამართლებრივი განმარტება აქვს. ბენეფიციარი მესაკუთრე არის ადამიანი, რომელიც სამეურნეო სუბიექტის საბოლოო მაკონტროლებელ საკუთრების წილს ფლობს პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ, „*მიდგომები ბენეფიციარი მფლობელის გამჭვირვალობისადმი: გლობალური ჩარჩო და ბუღალტრის პროფესიის ხედვა*“. ([Approaches to Beneficial Ownership Transparency: The Global Framework and Views from the Accountancy Profession](#).)

## მომსახურების რისკი

მომსახურების რისკი არის რისკი იმისა, რომ ფულის გათეთრების მიზნებისთვის გარკვეული პროდუქტების ან მომსახურების გამოყენების ალბათობა გაცილებით დიდია.

პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა გაითვალისწინონ დამატებითი შემოწმების ჩატარების აუცილებლობა ისეთი პროდუქტის ან მომსახურების მიწოდებისას, რომელსაც ფულის გათეთრების მიმართ მოწყვლადობის გაზრდილი დონე ახასიათებს, ან როდესაც არსებობს სერიოზული რისკი იმისა, რომ თვითონ პროფესიონალმა ბუღალტრმა შეიძლება ჩაიდინოს ფულის გათეთრების დანაშაული.

სანამ პროფესიონალი ბუღალტერი გადაწყვეტს არსებული პროდუქტის ან მომსახურების ასორტიმენტის მნიშვნელოვნად განსხვავებული მომსახურების შეთავაზებას, მან უნდა შეაფასოს მასთან დაკავშირებული ფულის გათეთრების რისკები და სათანადო რეაგირება მოახდინოს ნებისმიერ ახალ ან გაზრდილ რისკზე.

**თქვენ თავს დაუსვით კითხვა:** ჩვენს რომელიმე პროდუქტს ან მომსახურებას ახასიათებს ისეთი თვისებები, რომლებსაც, როგორც ცნობილია, ხშირად იყენებენ ფულის გათეთრებლები? ფულის გათეთრების არსებითად მაღალი რისკის მატარებელია იმ გარიგებების ტიპი ან სპეციფიკა, რომლის შესახებაც საკონსულტაციო მომსახურებას სთავაზობთ დამკვეთს?

## განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება მომსახურების რისკზე

ამ სერიული პუბლიკაციის შემდგომ ნაწილებში თითოეული მომსახურება უფრო დეტალურად იქნება განხილული.

კომპანიის დაფუძნება | აქტივების გადაცემა | საგადასახადო კონსულტაციები | გადახდისუნარიანობა

## დამატებითი დახმარება



ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ზოგადი მითითებების გასაცნობად იხილეთ Financial Action Task Force-ის „*სახელმძღვანელო მითითებები ბუღალტრების პროფესიის რისკზე დაფუძნებული მიდგომის შესახებ*“. ეთიკასთან დაკავშირებული საკითხებისთვის - *ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსი*, ხოლო ადგილობრივი დეტალური ინფორმაციის მისაღებად, შესაბამისი მარეგულირებელი მოთხოვნების ჩათვლით, დაუკავშირდით ბუღალტრთა პროფესიულ ორგანიზაციას, რომლის წევრიც ხართ.



259 Fifth Avenue, New York 10017  
www.ifac.org | +1 (212) 286-9344 | @ifac | ifac.com



www.icaew.com  
@icaew | icaew.com

ბულალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 2: რისკზე დაფუძნებული მიდგომა“ - ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბულალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC თავის თავზე არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე არც მისგან გამომდინარე ნებისმიერ ქმედებაზე.

„ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 2: რისკზე დაფუძნებული მიდგომა“ - ინგლისურენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები - ნაწილი 2: რისკზე დაფუძნებული მიდგომა“ - ქართულენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

სათაური ინგლისურ ენაზე: *Anti-money laundering: The Basics – Installment 2: Risk-Based Approach.*

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს: [Permissions@ifac.org](mailto:Permissions@ifac.org)